# ცისკარი

**1858**

აგვისტო. წიგნი მერვე.

ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## განგრძელება.

## ტფილისის კლუბში..

50 გრიგოლ ორჯონიკიძე.
თ. ალექსანდრე თუმანოვი.
პავლე გაბაევი
თ. პეტრე ბებუთოვი.
თ. გიორგი ბარათოვი.
ვასილ ექიმოვი.
თ.თ. ივანე ენდრონიკოვი.
თ. ამირბარ მაღალოვი.
იაკინთე ალექსიევ მესხიევი.
60 ალექსანდრე სავანელი.
გაბრიელ მელქუნოვი.
გიორგი ყარანგოზოვი.
თ. თამარ ერისთავისა.
დიმიტრი ზაქრაძე.
ლავრენტი არდაზიანი.
ისაკ. ბაშბეუქოვი.
თ. ალექსანდრე ორბელიანი.
თ. ალექსანდრე ბარიატინსკი.
ხალათოვი.
70 თ: გრიგოლ ორბელიანი.
ენფიაჯიანცი.
ანტონ მამულოვი.
იაკობ პავლიევი.
ელისაბედ ხიხანოვისა.
დიმიტრი ყიფიანი.
თ. ალექსანდრე ჯავახოვი.
თ. ივანე მუხრანსკი.
აბელ გურგინბეკოვი.
თ. დიმიტრი ორბელიანი.
89 თ. ალექსანდრე მაღალოვი.
ალექსანდრე თამამშოვი.

# მკითხველთადმი.

როდესაც კაცი აღსრულებდეს თავის ნამდვილს მოვალეობას, მაშინ ეს მოვალეობის აღსრულება არ არის დასაფასებელი. ყოველი კაცი მოვალეა უყვარდეს თავისი მამული, უკეთუ მამული უყვარს, რასაკვირველია ენაცა უყვარება. თუ ხელვყავ სხვანი რომ ვმეცადინეობ ჩემის სამშობლოს ენისათვის, (მე ჯეროვნათ ვერ მივკუთვნე ჩემს თავს ამ ღირსებას.) გარწმუნებთ, რაც მიმყვანის ჩუენს მამულს და ჩუენის საზოგადოს მამის საზოგადოებათის ზრუნვით დრო-ებასა, ეს ჩემი მეცადინეობა მეათედი ნაწილიც არ არის, რასაკვირველია ამისი მიზეზი არა ერთი ოდენ მე ვარ... მშობლის საყუარელისათვის, რომელი იქნება მოითხოვს ყოველთ; თავის აღმზრდელის პატივის-ცემისათვის, რომელი იქნება მოითხოვს საჩუქარი? უკეთუ დავაკვირდებით ვისმეს ჩუენს მეათედს მეცადინეობას, რომელიცა სახსენებელი არ არის; უკეთუ მოვითხოვთ საჩუქარსა რასამე, ეს არათუ მხოლოდ გამოვკალთ მოწინეებიდგან, არა-მედ დასცემს ყოველსავე კაცის ღირსებასა! ამაზედ უკეთესი საჩუქარი და ამაზე უკეთესი დიდება ჩუენ-

თჳს და იქნება, რომ ვგრძნობდეთ და ჩუჱნს ღირ-სეულს მდგომარეობასა, უშიშრად ჲ გაბედვით ვუწოდოთ ჩუჱნს თავს: „მამულის შვილით"!

კარგა ხანი იქნება, მივიღეთ რედაქციაში იმ გვარი ლექსი, (როგორც წარიკითხავთ ქვემოთ) რომლისაცა დაბეჭვდასა ვერას გზით ვერა ვბედა-ვდით, რადგანაც ამ გვარის ლექსის დაბეჭვდა შე-ხებოდა თავის მოყვარეობასა. თავისმოყვარეობა ღმერთმან გვაშოროს! ზემოთვე წარმოვსთქვ საყვა-რელნო „ცისკრის" მკითხველნო. დასასრულს გბეჭდავთ ერთსა ამ გვარსა ლექსთაგანსა, და ვე-ღარ ვეწინააღმდეგებთ მრავალთა თხოვნათა.

რედ. ი. კერესელიძე.

---

## იოანე კერესელიძე-ზე

---

გაჩნდა ჩუჱნ შორის მომშცვენო ჩიტი,
ტკბილ-მოღუღუნე ვითა რომ გვრიტი,
გვასმენს ყოველთა ხალმის ხმასა
ჲ არ იკრძალვის კეთილის ქმნასა!
გონებით მკვეთრი, ეს არის ერთი,
ყოველს ღირსებას მოუწერ მასა,
ყოველი მისი, ცხადი ჲ მყისი:
არის მარტივი ჲ ჭეშმარიტი.

დაბნელებული აწ მნათობს ყველა,
ქართველთ სიამით აწ ძლივს ეშველა,
აღმოაცენა უჯრისკულის შთანთქმული
და დიდის ხნითგან იქ შენახული,
მიწნი საუნჯის ვითარცა მუნჯის
გული და სული ყურით თხზული.
თითების თვლითა, ნიშან დასმითა,
მიხვდების ოდეს შეიტყობს ყველა!
მზანო! ჩუენ შორის მართლა «ცისკარი»
აწ აღმოგვიჩნდა უმაწვილი მტკბარი,
ახა ვინ გვიგვას ამ გვარნი სხუანი,
რომ მოდალონ მათ თჳსნი ჭკუანი
და ის იფიქრონ: რა არგებსთ ქართველთ,
დაჭმუნებულთა, ვით მომწყუინართა,
აღრით ქებულთა დავიწყებულთა,
ვინა აღახვებს მათთათჳს კართა....
შენ ხარ ბუდბული, აი ვარდიცა,—
ზედან დაჴუეჭე ქებული მეტკენო,
რომ მით ნაყოფი, დავიწყებული,
ქართველთა შორის აღმოაცენო!
შენნი შრომანი, დუაწლნი მკირთასხნი,
ყოველთა სულთა ცხადად გვაჩვენო.
ჩუენო იმედო, უმაწვილო კაცო,
ერთო ამ გვარით აღმომაჩენო!...

დ. ბ.

1858 წელსა.
ქ. ტფილისს.

# N!

ვნახე საცხოვრო შენი სახე და გავხდი რეტად,
თვალნი შენნი გულსა გამლვენ, ისართაცა გარდა-
მეტად,
გულნი დამაბ ქვეშ შეგდვმიან, ვითა მზესა ბროლნი
სხივეტად.
შენსა გულსა ყულად გექმნე თუ დიდს გავხდე შენდა
ჭვრეტად.

ბუნებამ წარმოგადგინა, ეგე ვითარი მშუენება,
რომლისა მზგავსი არ იყო და არცა აწ იპოვება,
მწროტიდებრივ ციმციმით მხილველს მისტაცე გო-
ნებას,
ნეტარება აქვს სულსა მისს, რომელიც შენ გეკონება.

მზე ბადრს სხივი მოგირაზმავს, განანათლე ცა და
ხმელი,
შენს ნახვაზე რომ არ განკრთეს, არ ქნება არ რო-
მელი,
სიცოცხლეო! უკვდავების წყარო მეცი მე სასმელი,
გრძნობით გიძღვენ მნათობთ მეფავ, ლექსი ეხე არ
სათნელი!

თ. ზ. ანდრონიკოვი.

1858 წელსა.
15 მარტსა.

---

## ცრემლი ალაზანისა.

---

მზე შარავანდსა მშვენიერს
მდიდართ ველთ კახთა მოჰფენდა;
ავრორა ზეფირს ზეციერს,
თითქოს რომ მათზედ მოჰზერდა.
ძველურივ თუმცა მას მხარეს
მწვანე მანტია ეფარა,
ვარდნა ვით ობოლს მწუხარეს,
მცენარეთ თანჯნი ეხარათ.
ამ დროს ალაზნის მშობელი
გამწარებული მორბოდა,
გლეჯით თჳს გარსა ყოველი,
თან არემარე მოჰქონდა.
ჭმუნვარე შეჭედ დასმული
მოვიდა ნახა რა შვილი,
აუქჳოქჳოდა მას გული,
საოცრად იწყო ტირილი:
— შენ ალაზანო! მშობელი
გულ-შემსჭვალული მე შენი,
მოვსულვარ გითხრა ყოველი,
ვაე· თუ მაქს, მასთან ნუგეში!
ტალღათა შორის ვემალებ,
რა შენთ კიდეთა ველები,
წარსულთა დღეთა მშვენიერთ
ძეგლნი რამ ჰპოვო მტერი!
ვარდნა, ახ! ძეგლნი ის შვილნი,

## ცისკარი.

დაშლამულ არან მდგრივის წყლით,
საუკუნეთგან დახულნი,
მირბიან ჩემგან ტარილით!
გარნა მას ჰწუხხარ შენც ჩემებრ;
ნუ თუ ხარ ესრეთ ჰმუნვარე,
თვალთაგან ჩემებრ შენც ცრემლებრ,
ნაკადი მოგდის მდუღარე?
ნუ, ნუ, შენ მყო, ნუ სტირი,
ნუ მამიმატებ მე წუხილსა,
ერთხელა იყავ ხომ გმირი,
ჰმუნვას არ ჰსცემდი შენ გულსა.
რისთვს ამაოთ თვალთაგან,
ზღვებრ ცრემლნი მომდინარობენ,
ზვირთნი ეგ შეხნი — მტკბართაგან
მსწრაფლ რის-თვს მიმავალობენ?
მსწრაფლ ნუ მორდები მშვენიერო
სტუმართ-მოყვარეთ კიდეთა,
ნუ იმღვრევ ძირსა ვერცხლის ფერს:
სიმშვიდით მორდი ზღუდეთა!
ურმობა მოკლეა დღეთით შენი,
აწმყოს დროს მყოფმან იხილოთ,
გმდიან ზღვისა ზღუდენი,
თვისისა მზგავსად იცემა.
და აღიზარდნენ ლერწამნი,
რომელნი შენს გარს მრავლობენ,
გარწმუნებ მათზედ ბულბულნი,
დადემდის გრძნობით გალობენ!..
შენ შორის გულსა კამკამოს,

და აღიზარდენ ჩინარნი,
რტოთ გაიდგამდნენ უკარგოს,
შენზედან იუკრენ მცინარნი.
ნუ აქცევ ყურსა, და მწუემსნი,
შენდა სასმელად კიჯოდნენ,
ცხოვართა თანა მიურკალედ
შენსას შვენებას მდეროდენ.
ბატკანნი. ცხვარნი, ციკანნი,
შენკენ ბდავილით კიდოდენ,
შენის შუალით თიკანნი,
ერთომ სმერითა ტკბებოდნენ!-
ამ დროს მდინარეშ ქუხილით,
ჭექით და აღელვებულმან,
მოიღო ქაფი თვის გულით
მიუგო აზვირთებულმან:
«გულმტკივნეულად მომიგე,
აბა თუ შენ ხარ მშობელი,
შველასა,-თუ გიძს მარიგე,
მე ვიდ·საგან მოკლული?
რაღდა მამრავლებ ჭმუნვასა,
ჩქარად განვლილთა ჩემთ დღეთა,
და რად უმატებ ურვასა,
ჩემთა ჭმუნვარეთ ზღუდეთა?
სულთა უტკბესო! რის ნაზე
შენ კაცი მემდგომს სიკვდილის,
რომელდა განმშვენებული,
უფოთილი იყოს სამოსლით!
ვისთვის მოვართო. ვერჭვერო,
ვის დაუზნელო მე თვალნი,

ზოგსა მე ვსძულვარ, ზოგი მძულს,
მჰდევნიან ზოგან მრავალნი....
იყო დრო ოდეს მშვენებით,
მატარმალიყით მორთული,
მილლიონ ფერად ღარსებით,
ვიყავ გარემოცული.
წარსულთა დროთა მშვენიერო,
გამიქრა ვხედავ სანთელი,
ცურავს ხოლოდა ჩემს სიღრმეს,
მკვდით ნაშთენი ნათელი.
სადა არიან ის დღენი,
რა დამრჩა საწყალს იმ დღისა,
სადა არნ ისი დღეენი,
ვცელქობდი სადაც მხგავს ყრმისა?
უფრო ვწუხ მას, რომ მაჰმადნი,
მოდიან ჩემკენ სალევად,
წმიდისა გულის ჩემისა
ჯახლენად ასამღვრევლად.
ერთი მაქვს მხოლოდ ნუგეშად:
მწყემსნი რა მოვლენ საშვებად,
მათგნით ვიგრილებ მე გულსა,
და რა ყურს უგდებ ბულბულსა!»

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

არდა რა უთხრა მას მეცა,
მან ალაზანმან თჳნ მშობელს:
ვლავკნითა გვეელვერ მოედო,
და ზმურხარებით მწვანე ველს!....

ი. კერესელიძე.

# მოქმედება 4.

## გამოცხადება 1.

(კოროლის სასახლე.)

კოროლი, დედოფალი, როზენკრანცი და გილდენშტერნი.

კოროლი.

არის მიზეზი ამ ჭმუნვარებისა, ამ ოხვრათა. მე უნდა ვიცოდე ეს. მითხარ — სად არის შენი შვილი?

დედოფალი.

დაგვიტევეთ ჩუენ. (როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან.) — ოჰ, კელმწიფეო! საშინელი იყო წუხანდელი ღამე!

კოროლი.

რა, გერტრუდა? რა ჰყო ჰამლეტმა?

დედოფალი.

უგონოჲა, გაცოფებულიჲა, გეგონება თითქოს ქარიშხალი ებრძვის მძლე ოკეანსა, და უგონობაჲში გაიგონა, რომ ხალიჩების იქით არის ვინმე, ამოიღო ხმალი, შეჰყვირა: «თაგვი, თაგვი!» და, სიგიჟეჲში, დაჰკრა, და მოჰკლა, უბედურმა, ჩუენი მრჩეველი და მეგობარი....

კოროლი.

საშინელიჲა! მე რომ ვყოფილიყავი ხომ დავიღუპებოდი! საშიშიჲა, დასანთქმიჲა თუ მივსცემთ

2.

ჰამლეტს თავისუფლებას. შენთჳს, ჩემთჳს, ყველასათჳს საშიშია ჰამლეტი, ეჰ! ვინ ზღავს ამ სისხლს? ჩუენ, ჩუენ შეგვეძლო წინათდაგვენახა და უბედური უნდა განგვეშორა კაცთაგან; მაგრამ სიყუარული მისდამი ოდენ დიდი გვაქვს, რომ ჩუენ დავივიწყეთ მოვალეობა ჩუენა. ესრეთ მძიმე სნეულება ვისაც ჰქონის, შიშისაგან მას ჰფარავს და იღუპება. სად არის შენი შჳლი?

დედოფალი.

წაათრია მოკლული პოლონი. საშუალ უგონობისა, როგორათაც ოქროს ნაპერწკალნი საშუალ შერყეულობისა ტლანქ მადნის ქვათა—ელვარებენ მის შორის გონება და გული—ჰამლეტი სცირის-გვიანდა არის!...

კოროლი.

წავიდეთ, გერტრუდა. უწინარეს მანამ მზის სხივნი აიყრიებიან ქედთაგან მთათა, ხომალდს ჰამლეტის წასაყვანად შევამზადებენ. უბედურ მკულელობას დავფარავთ ჩუენ, მოვახსენებთ მიზეზსა. გილდენშტერნო! (როზენკრანცი და გილდენშტერნი გამოდიან.) მეგობარნო ჩემნო! წაიყვანეთ მცველნი. ჰამლეტმან მოკლა პოლონი უბედურს აღტაცებულობაში და წაათრია მისი უსულო გუამი. წადით, მოელაპარაკეთ მასთან იპოვეთ გუამი და დამარხეთ პატივით—გაეშურენით—(როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან.) მე მივალ შევკრიბო რჩევა, ვეტყვი რაც მოხდა, ვკითხავ, როგორ უნდა მოვიქცეთ, ჩუენ, რათა ცილის წამებამ,—რომელიცა ესრეთ სასწრაფოთ შემოირბენს

სოფელსა, როგორათაც ზარბაზნის ტყვია მიჰფრი-ნავს ნიშანზე, და რომელიცა დაშხამავს, ყოველსავე გზაზე, — არ შემოგვანთხიოს ჩვენ გესლიანი შურის-მიეზა, განიბნიოს, გაქრეს. — დავეშურნეთ სული ჩემი აღშფოთებულია და სავსეა ეჭვებითა.

(მიდიან.)

ჰამლეტი, გამორბის.

ჩინებულად მივმალე!

როზენკრანცი და გილდენშტერნი, სცენას იქით.

ჰამლეტი! პრინცო, ჰამლეტი!

ჰამლეტი.

წყნარა! რა ყაყანია? რათ გინდათ ჰამლეტი? მოდიან..... (როზენკრანცი და გილდენშტერნი გამოდიან.)

როზენკრანცი.

რაუყავით, პრინცო, გვამი პოლონისი?

ჰამლეტი.

მივეც მისსახლო ნათესავს — მიწას მივეც.

როზენკრანცი.

სად არის? უნდა დავმარხოთ.

ჰამლეტი.

ამას ნუ ერწმუნებით.

როზენკრანცი.

რას ნუ ვერწმუნებით?

ჰამლეტი.

მას, რომ ვიცი რა დაცვა თქვენთა საიდუმ-ლოთა, მე არ ვიცი დაცვა ჩემთა საიდუმლოთა. რას მიუგებს შვილი კოროლისა, თუ რო ჰკითავს

მას ღრუბელი? (*)

როზენკთანცი.

პრინცო, განა მე ღრუბელი ვარ?

ჰამლეტი.

დიახ, ღრუბელი, რომელიცა შეისვავს წყალობასა, ალერსსა და ჴელმწიფებასა თვისის კოროლისასა. მაგრამ თქვენ ხართ უკეთესნი მოსამსახურენი კოროლთათჳს. კოროლნი გიჳრთხილდებიან თქვენ საუზმისათჳს, რომელთაც მაიმუნები ჰგემრიელს ლუკმას. და წამს დასჭირდებათ მიიღონ უკანვე ისი, რაცა შეისვით — გაგწურვენ, და — თქვენ დამ-თეჳით მშრალი, როგორათაც ღრუბელი!

როზენკრანცი.

მე არ მეყურება, პრინცო.

ჰამლეტი.

მოხარული ვარ. ვისის ყურში მოსვენებით სძინავს თავ-საცილსა, ისი — სულელი-ა!

როზენკრანცი.

გვითხარით, სად დასდევთ სხეული, და მერმე წამობრძანდით კოროლთან.

ჰამლეტი.

სხეული იქმნება კოროლად, მაგრამ კოროლი არ უნდა იყოს სხეულად. კოროლი არის რაჲმე.

როზენკრანცი.

რაჲმე, პრინცო?

ანუ არა-რაჲ. წავიდეთ კოროლთან. წინ წადით

---

(*) სახმარი ღრუბელი.

შელებო, მალე დაგედევნებათ. (მიდიან.)

---

კოროლი და კარისკაცნი.

კოროლი.

მე ვუბრძანე მოუწოდონ ჰამლეტსა და იპოვონ სხეული პოლონიისა. რა საშინელია თუ მივცემთ მას თავისუფლებას! მაგრამ მკაცრად არ უნდა მოვექცეთ მას — შეუსაბამო იქმნება. ჰამლეტი უყვარს სულელ ხალხს, რომელიცა უგუნურად სჯის მას, რასაცა ხედავს, და ვინც დაისჯება, ისი მათ თუალწინ მართალია, მისიდა დანაშაულობა დავიწყებულია. წყნარად, დამშვიდებით ყოველივე მოხერხდეს და უცები მისი წასვლა დავანახოთ საჭიროებად. ჩუენ ბოროტს უშველით ბოროტით, ანუ არაფრით. (როზენკრანცი და გილდენშტერნი გამოდიან.) — აბა, რა არის, თქვით?

როზენკრანცი.

ჩუენ ვერ შევიტყუეთ, ჴელმწიფეო, გუამი სად მიუფარავს.

კოროლი.

თჳთონ სად-ღაა?

როზენკრანცი.

აქ გახლავს, ყარაული ადგას — ველით თქუენს ბრძანებას.

კოროლი.

შემოიყვანეთ.

როზენკრანცი.

გილდენშტერნო, შემოიყვანეთ.

(შემოიყვანენ ამლეტს.

კოროლი.

აბა, ჰამლეტი — სად არის პოლონი?

ჰამლეტი,

ვახშამ-ზე.

კოროლი.

როგორ თუ ვახშამ-ზე?

ჰამლეტი.

დიახ, სადაცა თჳთონ არა სჭამს — მას სჭამენ. მას-თან შეკრებილან მრავალნი უმეცნიერესნი ჭია-ღუანი. თქუენ იცით, რომ ჩუენნი ვახშმები მზო-დებიან ჭიების-თჳს: ჩუენ გამოვსუქებთ პირუტყუთა, რათა გამოვსუქოთ თავი ჩუენი, ხ̃ თავსა ჩუენსა გამოვსუქებთ, რათა გამოვსუქოთ ჭიები. კოროლი და გლახაკი — რა არის ეს! ორ-გუარი საჭმელი იმათ-თჳს, ხ̃ ორივე იქმნებიან ერთ სუფრაზე — ერთი დასასრული ორივესთჳს!

კოროლი.

დიდო ღმერთო!

ჰამლეტი.

კაცი იჭერს თევზსა ჭიითა, რომელიმანცა, იქმნე-ბა, დაისაუზმა კოროლითა, ხ̃ სჭამს თევზსა, რო-მელიმანცა დაისაუზმა ამ ჭიითა.

კოროლი.

რა უნდა სთქუა მაგითი?

ჰამლეტი.

არაფერი—მე მხოლოთ მინდა გიჩვენო თქუენ, რომ გლახაკს შეუძლიან შეჭამოს კოროლი.

კოროლი.

სად არის პოლონი

ჰამლეტი.

ცათა შინა—გაგზავნეთ შეიტყონ. თუ იქ ვერ იპოვონ, გაგზავნეთ მოძებნონ სხუა ადგილს. ჱ თუ არ-სად ვერ იპოვონ, მაშ ერთ თვის შემდეგ, თჳთონ გამოიჩენს თავს კეთილსუნნელებით ტალავარის კიბის ქვეშ.

კოროლი.

გაეშურენით იქ.

ჰამლეტი.

რა საჭიროა გაშურება—თჳთონ მოიცდის.

(რამდენიმე კარისკაცთაგანი მიდიან.)

კოროლი.

ჰამლეტ! შემდეგ შენის საქციელისა, ვზრუნავ რა შენ-ზე გულითად, თუმცა ძლიერ სამწუხაროა ჩუენთჳს, მაგრამ შენ უთუოთ უნდა საჩქაროთ გაშორდე აქაურობას. მზა იყავ. ხომალდიცა შემზა-დებულია, მოემზადე ანგლიაში წასასვლელად.

ჰამლეტი.

როგორ! ანგლიაში?

კოროლი.

დიახ, ჰამლეტ.

ჰამლეტი.

კარგი.

კოროლი.

ეხლა იცი ჩუენი ჰაზრი.

ჰამლეტი.

დიახ მე ესმის ზეციერს ანგელოზს — მაგრამ ეგრემც იყოს: წავალთ ანგლიაში, მშვიდობით საყუარელო დედა!

კოროლი.

შენი მოყუარული მამა — გინდოდა გეთქუა, ჰამლეტი?

ჰამლეტი.

დედა — ვამბობ მე: მამა და დედა — მამაკაცი და დედაკაცი არიან, მაგრამ ორნი ერთად ერთ არიან-დედა, კეთილო დედა — წავალთ ანგლიაში. (მიდის.)

კოროლი.

გაჰყევით მაგას; დაიყოლიეთ რო წავიდეს; ნუ-ღა იგვიანებთ, ღამე აქ არ გისწრობთ. კეთილი მგზავრობა მოგცეთ. ყოველივე მზათ არის, რაცკი შეეხება თქუენს გასტუმრებასა. გთხოვთ თქუენ დაეშურენით. (როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან.) და შენ, ჰე ანგლიავ! თუ იცი დაფასება ჩემის წყალობისა (ეს შეგეძლო დაგეფასა, იმიტომ რო ღრმა ცემა ხმლითა, რომლითაცა შენ დამარცხდი, და ხარჯით შეისყიდე რა ჩუენი მეგობრობა,) გულ-გრილად არ მოისმენ ჩუენსა თხოვნასა, და გრამატა, რომელიცა ჩაბარებული აქუს ჰამლეტსა, გიჩვენებს, თუ რა უნდა ჰყო შენ — სიკვდილით ჰამლეტისა! იყავ, ანგლიავ, მორჩილი, მიხსენ ამ მძიმე სენისა-გან, — მანამ ჰამლეტი ცოცხალია — ჩემთჳს არ არის

ბედნიერება! (მიდის.)

---

## ფორტინბრასის ელჩნი.

პირველი ელჩი.

წადით და მიულოცეთ კოროლსა. მოახსენეთ, რომ თანახმად მისის ნებისა, ნორვეგიის პრინცი ელის თჳსის მხედრობით, რომ ნებას მისცემენ მას გაიაროს დანიაზე, და თუ მისს დიდებულებას ნებავს პირი-და-პირი ნახვა ჩუენი, დავჳნიშნოს ადგილი, სადაცა ჩუენი პრინცი მივა პატივსაცემლად.

მეორე ელჩი.

აღვასრულებ,

პირველი ელჩი.

მშვიდობას და მყუდროებას ჩუენ დავიცავთ.

---

## ჰამლეტი, როზენკრანცი და გილდენშტერნი, გამოდიან.

ჰამლეტი.

ეს რა ხალხია?

ელჩი.

ელჩნი ნორვეგიის მეფისა.

ჰამლეტი.

რა გნებავსთ?

ელჩი.

ჩუენ პოლშაზე მივდივართ, და ვითხოვთ ნების დართვასა გავიაროთ დანიაზე.

ჰამლეტი.

ვინ არის თქუენი მბრძანებელი?

ელჩი.

ფორტინბრასი, ნორვეგიის პრინცი.

ჰამლეტი.

რაო, სრულ მთელი პოლშა გინდათ დაიპყრათ, თუ მცირე რამ მიწის ნაგლეჯის დასაჭერად შეკ-რებილხართ თქუენ?

ელჩი.

სწორეთ გსთქჳა, ჩუენ ვიბრძვით მიწის ნაგლე-ჯისათჳს, რომელიცა ხუთ ოქროთაც არა ღირს.

ჰამლეტი.

რაოდა? მიწის ნაგლეჯს მოგიგდებენ უჩხუბრათაც.

ელჩი.

ნუ გგონიათ—მოლიაკებმა საჩხუბრად თავს გამოიდეს.

ჰამლეტი.

ოციათას კაცად და ოციათას ოქროდ თქუენ მოგივათ ნაგლეჯი მიწისა—შეიძლება მოგილოცოთ გამარჯვება.

ელჩი.

თქუენს ბედნიერებას ვისურვებთ. (ელჩნი მიდიან.)

როზენკრანცი.

წავიდეთ, პრინცო!

ჰამლეტი.

წადით, მე დაუყოვნებლივ შემოგიდგებით.

(როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან.)

როგორ ყოველივე წინაღმიდგა დაუყოვნებისათჳს შურის-გებისა!... რა ხარ შენ, კაცო, ოდეს აღნიშნავ დღეთა ძილით და სადილით? მხეცი ხარ, არა მეტი. ღმერთმა, შეგვქმნა რა ესრეთის გონებით, რომლითაცა წარსულსა და მომავალსა ვხედავთ ჩუენ — მოგვანიჭა ღუთაებრივი გონება არა მისთჳს, რათა დავღუპოთ იგი უნაყოფოდ. თუ მოშიში იჭუნეულობა ჰყოვნის საქმით და იღუპება გაუბედავს აღმფოთილებაში — აქ არის სამი ნაწილი სარცხვენელის სიმხდალისა და მეოთხედი მხოლოდ წმინდისა სიბრძნისა. რათ მინდა სიცოცხლე? მხოლოთ ვიჩეპირო: მე უნდა აღვასრულო, და ვჰყოვნო, თუ კი მაქუს ძალიცა, ნებაცა, მიზეზიცა, ღონის-ძიებაცა აღსრულებისა! აჰა მაგალითი: ახალ-გაზდა მხედართ-მძღჳარსა მიჰყავს მხედრობა, მძლე და ძლიერი; იგი ყოველსავე შესწირავს მსხვერპლად პატივსა და დიდებასა, ყოველსავე დაამხობს და მისცემს სიკუდილსა. რათა? და რასა-თჳს? კვერცხის ნაჭუჭათ არა ღირს მიზეზი მისის ჩხუბისა. დიდი არ არის პატივი, დიდი არ არის დიდებაცა შესწირონ ვინმე თავი თჳსი შეურაცხ საქმესა. მაგრამ რათ-ღასა მიზეზი? ამ მიზეზს გამართლებენ ჩუენნი მოქმედებანი... მე კი — მამა მამიკლეს, დედა გამიუპატიურეს — სისხლი როგორ არ უნდა აღუდღეს, გონება როგორ არ უნდა ღელავდეს, მე კი — უქმად ვარ, ოდეს

ჩემ საკჳცხავად, აქ სიკჳდილისთჳს მიდის ოციათასი მჴედრობა, და მრავალთ არ იციან რასათჳს მიდიან, ათასნი სდევნიან დიდების აჩრდილსა, და ის მიწა რომლისა-თჳსცა იგინი დაიღუპებიან, იმათ საფლავისათჳს არა კმარა.... არა! ამ ჟამიდგან შექმნება მხოლოდ ერთი ჭაზრი-სისხლი—ანუ სრულებით არ შექმნება არცა ერთი ჭაზრი! (მიდის.)

---

## გამოცხადება 2.

(ოთახები დედოფალისა.)

დედოფალი და გორაციო.

გორაციო.
ოფელია გთხოვს—ღირსია შებრალებისა.
დედოფალი.
მე არ შემიძლიან?
გორაციო.
სულ მამას იგონებს, სულ იძახის, რომ კაცი მატყუარა-არისო, გრგჳინავს და უჭკუობს. უგუნურ სიტყუებს წარმოსთქუამს, მაგრამ სიტყუა მისი სულს მეტად ხვდება, და უნებლიეთ კაცს დააფიქრებს. მისი მწუხარება, მოძრაობა, შესახედაობა, ყოველივე დაგვარწმუნებენ, რომ სული მისი ჰფარავს ღრმას ნაღველსა და უგუნურს მწუხარებასა.

დედოფალი.

მაშ უნდა ველაპარაკო მას. იგი განაღვიძებს საშიშართა ეჭვთა და ბოროტთა მითქმა-მოთქმათა — დაეხსენ შემოვიდეს. (გორაციო მიდის.) ჰა ბოროტ-მოქმედებაო! მცირედი მიზეზი აღგაშფოთებს, წინათ გაუწყებს რა ვაებასა; მიუნდობლობადა და იჭვნეულ-ლობა — უნებლიეთ გამოაშკარავებენ ბნელსა ბიწიერე-ბის საიდუმლოებასა

ოფელია, გამორბის.

სად არის, სად არის შვენიერი დედოფალი?

დედოფალი.

ოფელია! რა, რა დაგემართა?

ოფელია, იმღერის.

იცნობდით ჩემსა მეგობარსა?
ის იყო ვაჟ-კაცი საქებური,
თეთრის ვერძით, მოსული მხედარი,
მირჩეულ მეომარი დანიისა.

დედოფალი.

ახ, საბრალო ოფელია! რასა მღერი?

ოფელია.

რასა ვმღერი? მოისმინეთ რა სიმღერაა —
შორს, შორს, იქით ზღვისა,
წევს ისი საფლავში;
ამევს მძიმე ბორცვი,
საწოლად აქვს — მიწა!

დედოფალი.

საყვარელო ოფელია....

ოფელია.

გაიგონეთ რაღა სიმღერა!
თეთრ სუდრით შემოსეს,
ქუდი მორთეს ვარდით,
საფლავ-ში ჩასვენეს,
ცრემლით, ცრემლით.

დედოფალო, კოროლსა, რომელიცა გამოდის.
ქველმოქმედო, შეიბრალეთ საცოდავი; უყურეთ—

კოროლი.

შენ რაღა ოფელია?

ოფელია.

მე რაღა? არაფერი. უმორჩილესად გმადლობ. იცით თქუენ, რომ ბუკანკო იყო გასათხოვარი ქალი, და შემდეგ იქმნა ბუ? შენ იცი, რაცა ხარ ეხლა და არღა იცი რა იქმნები. გამარჯვება თქუენი. მშვიდობა თქუენი ნახვა.

კოროლი.

საწყალი! არ შეუძლიან დაივიწყოს მამა.

ოფელია.

მამა? რა ცუცილია—სრულებით არა, აი რა: ქალი მივიდა განთიადისას ვალენტინის დღესა მეგობართან და უთხრა:

მეგობარო ტკბილო! მოველ შენთან.
ბზინვარ განთიადს, საიდუმლოდ.
იყავ შენ შვენიერ ვალენტიად,
გადმომხედე—აქ ვარ ფანჯარასთან!
იმანაც სასწრაფოთ ტანთ-გადიცვა,
წყნარა, წყნარა კარი გამოაღო,

საშინლად შეჰფიცა ერთგულობა,
მაგრამ უმტყუნა ძე — მოიძულა!

კოროლი.

კმარა, ოფელია!

ოფელია.

დიახ, იმან ქალი მოატყუა — ეს კიდევ არაფერი;
მაგრამ რათ-და ჰფიცავდა? ცოდვაა მისთვის!

ცუდია კაცის სჳნიდისითა
მეგობრის გულითად შეუყვარება —
ისი ჩემ-ზედა დაიცინება,
როგორ უნდა ვიყო? რა უნდა ვჰქმნა?
ქალწულმა ქალმა უთხრა მეგობარსა
«მოცემული ფიცი შენ გასტეხე —
მე არ დამვიწყებიხარ აქამდე —
შენ-და რასათვის მე დამივიწყე?»
დაცინვით მიუგო მეგობარმა:
«არ გამიტეხია ფიცი ჩემი —
განა არ იცის ქანწულმა ქალმა:
მე ხომ ვხუმრობდი, მე ხომ ვხუმრობდი!»

კოროლი.

დიდი ხანია რაც დაემართა?

ოფელია.

ყოველივე ეს კარგი იქმნება, მერწმუნეთ — მხოლოთ, მოითმინეთ — მე კი სულ მინდა ვიტირო, რა მოვიგონებ, რომ ის დაფლეს ცივ მიწაში! ჩემი ძმა ყოველსავე ამას შეიტყობს, თქუენ კი გმადლობ რჩევისათვის. ჩქარა კარეტა! ღამე მშვიდობისა ჩემო საყუარელო, ღამე მშვიდობისა!.... (მირბის.)

კოროლი,

გაჰყევით მაგას, გაუფრთხილდით. (გორაციო მიდის.) მამის მწუხარების გესლმა დაუშხამა ოფელიას სული. ხედავ, გერტრუდა, ჭირნი დაიარებიან არა მარტო, ჯგუფად. გაუწყდა პოლონი, შვილი შენი განვაძევეთ — თვისის უგუნურობით ღირს-იქმნა განძევებისა — და აწა ხალხი შეიძრა, შფოთობს, იჭვნეულობს პოლონის სიკვდილზე და დრტვინავს. ამაოდ დავჰფარეთ მიზეზი მისის სიკვდილისა! და აწა ოფელია ჰკარგავს გონებასა, და რა უფრო მძლეა, მევიცი, რომ ოფელიის ძმა დაუპარულად მოსულა აქ. ლაერტი თურმე გაბოროტებულია, და თავს გამოუდგია იძიოს სისხლი მამისა, რომლის სიკვდილსა ჩვენ გვაბრალებენ. ოჰ საყვარელო გერტრუდა! მძიმეა გულისათვის ატანა ესოდენ სალმობიერთა შემთხვევულობათა! (ისმის ხმაურობა.)

დედოფალი.

ეს რა ამბავია? ყაყანი, აღრეულობაა ხალხისა!

კოროლი.

ვინ არის აქ? მცველნო! დაიცვეთ შემოსავალი! (გამოდის გორაციო.)

გორაციო.

ჴელმწიფეო! მიუტევეთ — როგორათაც ღელვანი ზღვისა გაანჩხლებულისა მოიღრტვიან, ეგრეთ ლაერტი და მეგობარნი მისნი მოიღრტვიან თქვენდა გაჯიცხებულნი ხმლებით; მათ მისდევს უგუნური ხალხი, და ხმა მაღლა წარმოსთქვამს ლაერტის სახელსა. ლაერტი ითხოვს შურის-ძიებას მამის სიკვ-

დიდისათვის, ამა-ზე ემეღწენა ხალხსაცა!

დედოფალი.

მათ თავ-ზე დაეცემა შურის-გება! უგუნურნო შესდ-გომიან ლაერტსა....

ლაერტი, სცენას იქით.

სად არის? სად არის კოროლი? ჩამოდექით, ჩამოდექით გზიდგან!

ხალხი, სცენას იქით.

ჩამოდექით! სად არის კოროლი?

ლაერტი, ძალით შემოიჭრის.

მამეც მამა ჩემი!

დედოფალი.

ლაერტი! რას ნიშნავს ეს? დამშვიდდი.

ლაერტი.

წყეული, შერცხვენილი, უპატივო ვიყო, თუ რო დავმშვიდდე!

კოროლი.

ნუ სწუხარ, დედოფალო. მე არ მეშინის უგუ-ნურ ლაერტის მუქარებისა. მითხარ, რა გინდა, უგუნურო?

ლაერტი.

სად არის მამა ჩემი?

კოროლი.

მოკვდა.

დედოფალი.

და მისს სიკვდილ-ში ჩვენ ბრალი არა გვაქვს.

კოროლი.

რაღა? მკითხე, ლაერტი! მე მოგიგებ.

ლაერტი.

აჰა! მცბიერის ენით ვერ მაცთუნებ — მითხარ ჯერ იყო ჩემის მამისა მკვლელი? მიმიგე, თუ არა, საშინელ იქმნება შურის-გება შენისა!

კოროლი.

რაჲას უყურებ?

ლაერტი.

ნეშტი პატივისცემისა, მამის ერთგულობისა, შეიმაგრებს ხმალსა ჩემსა, თუ რომ შენ განსცემ მამისა ჩემის მკვლელსა!

კოროლი.

ხელ-ახლად გიცნობ ლაერტეს. კეთილი შვილი მამისათვის და ორგული არ იქმნება, და არ მიიწ-დომებს შურის-ძიების უბრალოთა — არა! შურს-იძიებს მხოლოდ დამნაშავეთა.

ლაერტი.

დიახ, დამნაშავეთა!

კოროლი.

შენ გაიცნობ მათ.

ლაერტი.

დაეხსენ ისინი დაიღუპნენ, და მაშინ ხელ-ახლად სისხლი და სიცოცხლე ჩემი ეკუთნიან მამულსა და კოროლსა!

კოროლი.

კმარა. თუ მე ბრალეულ ვიყო მამის სიკვდილში, დაეხსენ შჳლმა განსაჯოს, დაეხსენ თჳთ ისილოს.

ხალხი, სცენას იქით.

გზა მიეცით ქალსა, გზა მიეცით!

ლაერტი.

რა მესმის? (გამოდის ოფელია, რომელიცა გასოცრად მორთულია ყვავილებითა და ჩალითა.)

გახმი, ტვინო ჩემო, იდინე ცრემლო ჩემო! დაო ჩემო! ოფელიავ, დაო, მეგობარო! შენს უგუნობასა ზღავს მტერი! მაგრამ უმჯობესია ჩუენთჳს გვიკვნეთ უბედურნი, რადგანაც მოვკვდით რაცა გვქონდა უძვირფასესი — მეცნიერება და სიყვარული!

ოფელია, იმღერის.

დასაფლავეს ის პირ-დაფარული,
საფლავის ბორცვზე შეიკრიბნენ ისინი,
და გადმოსდიოდა მათ მდუღარე ცრემლი,
ოდეს გამოესალმნენ მოხუცს იგინი·
მშვიდობით, ტრფილო!

ლაერტი.

თუ რო სრულის ჭკუით შენგან ყოფილიყო აომეღლებული შურის მიებად, მე უმცირესად აღვიძრილი შურის-გებად, ვინამ ეხლა — დაო უბედურო!

ოფელია.

ამასობაში თქვენ იმღერეთ: «ძირს, ბორბლო! სასჯელზე, ბორბლო!» მშვენიერი სიმღერაა! თქვენ იცით? ეს იმ მზა-ხე-ა, რომელმანცა მოიტაცა ქალბატონისა.

ლაერტი,

ამისა უგონობა მიტაცებს გონებასა!

ოფელია, გადაარჩევს ყვავილებსა.

აჰა ზღვის ვარდი — ეს ნიშნავს მოგონებასა! სულო, ლამაზო! მომიგონე მე! აჰა თავკის-ყურა

(Незабудка) — ეს ნიშნავს — ნუ დამივიწყებ მე!

ლაერტი.

ხსოვა კიდევ შერჩენია უბედურსა!

ოფელია.

აჰა თქვენ გულიავი, აჰა სადაფა, მწარე ბალახი— თქვენ და მე. თქვენ ეს თან იქონიეთ მხოლოდ უქმე დღეს — ვაი-ა კაცისთჳს უქმე დღე. ახ! აჰა მარგარიტკაცა — ია არ არის — უკაცრავოთ — დაჭკნდა მას აქეთ, რაც მამაჩემი გარდაიცვალა! მაგრამ ნუ გეშინიანთ: ის ხომ გარდაიცვალა მშვიდობიანად —

სიმხიარულე სულისა დამყარგა,
რაც ტურფა მეგობარი გარდამეცვალა!

ლაერტი.

ოცნებაცა, მწუხარებაცა, გულის-თქმაცა, თჳთ სიგიჟეცა ამაში მეტად სანდომიერნი არიან!

ოფელია.

ის აღარ მოვა, ის აღარ მოვა,
და ჩვენ იმას სრულებით ვერ-დავინახავთ.
არა! ის გარდაიცვალა, დაასაფლავეს!
და ჩვენ იმას სრულებით ვერ-და ვინახავთ.
აჰა დაქრის საფლავსაზედა ნიავი.
სადაცა დაიმარხა მოხუცებული,
დარგეს სამი არყის ხე, სამი ტირიფი,
რომელნი სტირიან, ვით ურიგა ჩემი, ნაღველი!
ნუ სტირით, ნუ სტირით, იმისთჳს ილოცეთ.
განუსვენე მას, ღმერთო, მართალთა მადლით!
და სულნი ყოველთა, რომელნიც გარდაიცვალნენ...
ილოცეთ მისთჳს და-ღმერთი იყოს თქვენთან! (მიდის)

ლაერტი.

ოჰ ღმერთო ჩემო! ნუ თუ ოფელია უნდა დაიღუპოს?

კოროლი.

ლაერტ! შენს მწუხარებაში მე მივიღებ მონაწილეობას, და შენ გამამართლებ მე — გავშორდეთ აქაურობას, მე მწადის მოვილაპარაკო შენთან. წამოიყვანე თან მეგობარნიცა, თუ რო გეშინის მზაკვარებისა — დაეხსენ ისინი იყვნენ ჩვენს შორის მსაჯულად, და თუ ესენი გამამტყუნებენ — მზა ვარ ჩემი გვირგვინი, სიცოცხლე და ყოველივე დავითმო შენ სამაგიეროდ. და თუ მე გავმართლდე — თანახმა იყავ შევაერთოთ ძალი შენი და ძალი ჩემი და ერთათ შური-ვგოთ მტერსა.

ლაერტი.

ეგრეთ იყოს! — უცნაური მშობლის აღსრულება, მისი დავიწყებული კუბო, მისი საფლავი, ღირსა ხსოვისა, მოურთავი, და დასაფლავება უპატივოთ — ყოვლივე შემღაღადებს შურისძიებისათვის — ცა და ქვეყანა მიბრძანებენ მოვითხოვო პასუხი!

კოროლი.

მე მზა ვარ მოგცე პასუხი, და თავსაზედა დამნაშავისა დაეცემა ნაჯახი სასჯელისა! წავიდეთ,

(მიდიან, გორაციოს გარდა.)

გორაციო, მარტო,

წიგნი ჰამლეტისა! ვნახოთ, რასა გვწერს მე და კოროლსა.

«ოდეს შენ მიიღებ ამ წიგნსა, გორაციო, იცოდე,

რომ ჩქარა მნახავ მე. გასაოცარმა გარემოებამ მოახდინა, რომ მე ველარ წავედ ანგლიაში, სადაც წავიდნენ უჩემოთ როზენკრანცი და გილდენშტერნი. მეორე წიგნი მიეც კოროლს. მე გიამბობ შენ მრავალთა საკჳრველებათა.» ჰამლეტი.

ეს რას ნიშნავს? მე ვერ მიმხვდარვარ!

კოროლი და ლაერტი, დაბრუნდებიან.

კოროლი.

ეხლა, ლაერტი, ეხლა ხომ დამიბრუნებ შენს მეგობრობასა? ხომ მიხვდი, რომ მე მდევნიდა ჰამლეტი, საშიშროება ჩემი დაკარგვებოდა მაგიერ მამისა შენისა?

ლაერტი.

მე ვხედავ, მწამს, მაგრამ ჯერაც არ მეოყრება, როგორ დაუტევე დაუსჯელად ბოროტმოქმედება, ოდეს საშიშროება გიქადებდა დაუშვებსა...

კოროლი.

ორი მძიმე მიზეზი მე განგიმარტო შენ, ლაერტი, და განგიმეორებ: ჰამლეტი უყვარს დედოფალსა; სიცოცხლე მისი ოდენ შეერთებულია შვილის სიცოცხლითან, რომ ჰამლეტის საქმეებსა შეუდგებოდა მისი საქმეები. მეორე რა ვერ შევიმაგრებს დედოფალსა, რომ შვილი შესწიროს სხვათა. ჰამლეტი უყვარს ერს; დიდძალი ხალხი, უგვარ ურჩი, აღსდგებოდა ჰამლეტისათჳს, და ისარნი უკუმიქცევდნენ მას, ვინცა გაემზადებოდა ისრის სროლასა დამნაშავის დასასჯელად!

ლაერტი.

მამავ! და ესრეთ შენის უპატიურ აღსასრულისათჳს არ ვის გარდახდება! და შენ, დაო ჩემო, შენ,

უმშვენიერესო ღუთისა ქმნილებათა—დაიღუპე ასე-რომ არ ვის გარდაჰხდა... მაგრამ, არა! არარა ჩემს მრისხანებასა ვერ დამშვიდებს—მკჳლელს მე ვიპოვი უშორესს ზღვის იქითაც....

გორაციო, მიახლოვდება.

კეთილშობილო, ნება მართვით მოვართო წიგნი ჰამლეტისა.

კოროლი.

წიგნი ჰამლეტისა? ვინ მოიტანა?

გორაციო.

მე ვერ შევიტყე, ვინ მოიტანა. იქმნება, თუ პრინცა იწერებოდეს მაგაზე.

კოროლი.

ლაერტი! გესურება?—გორაციო! ნება გაქუს დაგვტოვო ჩუენ.

გორაციო.

მე გავეშურები—პრინცს მივეგებები. (მიდის.)

კოროლი.

ჰამლეტი აქ არის! მაგრამ სადღა არიან მასთან გაგზავნილნი? მე არ მესურება—გაიგონე წიგნი:

«შიშველი ჱ მარტო დავბრუნდი მე მამის ჩემის სახელმწიფოში, თქუენის ჱ დიდის ჩემის სახელმწიფოსში. პირად მექმნება პატივი გიამბო თქუენ ყოველივე გარემოება ჩემის საკვირველის დაბრუნებისა.»

ლაერტი.

მითამ ეგ ჰამლეტის ხელია?

კოროლი.

დიახ, ჰამლეტის ხელითა. ლაერტი! ეხლა მირჩიე, თქვი, მითხარ, რა უნდა ვჰყო? ესრეთ — მართალს შურის-გებას მზა ვარ მივცე ჰამლეტის ბედის-წერა.

ლაერტი.

დაეხსენ მოვიდეს, დაეხსენ გამოცხადდეს: მე გაბედვით წინ დაუდგები და ვეტყვი მას: «მკვლელო!»

კოროლი.

მარტო ეგ არის?

ლაერტი.

დაეხსენ ბედმა გადაწყვიტოს, ჩვენგანი რომელი უნდა მოკვდეს ბრძოლაში!

კოროლი.

ბედი ბრმაა! მაგრამ ჩვენ მაგას ვუშველით, ნამდვილი შურის გება არ დააცდენს, დაკვრა სადაც დანიშნულია იქ დაეცემა. ლაერტი! შენი ნდობა ჩემთვის სიჭიროა; რაცა მაქვს გულში განზრახვა, მე შენ გამოგიცხადებ!

ლაერტი.

მერწმუნე, რომ მე თვალებ ახვევილი დაგემონებით თქვენ!

კოროლი.

შენ თანახმა იქმნები, რომ ჰამლეტის განკითხვა და სასჯელი ჩემგან შეუძლებელია. ერთია მხოლოდ ღონის-ძიება: ჩვენ შეგვატყუვა, რომ შენ ხარ მარდი მბრძოლავი, რომ თვით ფრანციაში ვერ ჰპოვე შენი ღირსი წინააღმდეგი. ჰამლეტს დიდი

ჩანია სურდა გამოეცადა შენი ხელოვნება ბრძოლაში.

ლაერტი.

მოგვეცით ჩვენ ადგილი, მაშინ ხმალი ჩემი, სარწმუნო ჩემი ამხანაგი, იპოვის, სადაც უცემს გული მტერსა ჩემსა!

კოროლი.

შენ გავიწყდება, რომ სისხლიერი ბრძოლა აქ შეუძლებელია — ხარისხი ჩემი ქ მღვდელმსახურობა არ მაძლევენ ნებას გავიხდე შენ თანასხმა.

ლაერტი.

როგორ?

კოროლი.

თუნდ რომ შემეძლოს კიდეც ნების დართვა — განილის, თქვენთაგანი რომელი დაეცემა? განა-და იქმნება შეურისძიება განა-და იქმნება სასჯელი ეს ბრძოლა? ლაერტი, მითხარ, გიყვარდა მამა შენი? მისა ხარ დასაჯელი მკვლელი?

ლაერტი.

ო! მზა ვარ გავხდე მისის მტარვალად!

კოროლი.

კმარა! დაიჭირე სიმშვიდე წინაშე სხვათა; და-ცხრენ დაბრუნდეს ჰამლეტი, მე მოვახერხებ, რომ შეიძლებოდეს გამოსცადოთ თქვენ ერთმანეთი ბრძოლაში, მეგობრულად, როგორათაც მოცილეთა ხელოვნებაში. მე ჰამლეტის ხელზე დავამძლევებ შენ, და — მაშინ ჰამლეტი დაინთქმის!

ლაერტი.

როგორ თუ დაინთქმის?

კოროლი.

დიახ — სასიკვდილო შხამში მე შენს ხმალს ამოვავლებ — მიმნდობი ჰამლეტი ვერაგობას ვერ მიხვდება, და ერთის შეხებითაც შენ შეამოხვევ ჰამლეტს სიკვდილსა...

ლაერტი.

ეგ ქვეწრები დაფარული მოკვდება!

კოროლი.

აჰა! მიაყენა კი არ უნდა, უნდა შურის-მიგება დამნაშავესა, რომელიცა არის სჯულის გარე! მაშინ, ლაერტი, შენ განდიდე მამის სისხლსა, ჩვენს საცოცხლეს უმეშვარ ტყუპ, და დანაშაულობა-ზე ადასრულებ შენ სასჯელსა! — ეს რა სმაურობაა! აქ მოდის განწირებული დედოფალი! დედა არის ჰამლეტისა! ლაერტი — მოუმარებს! — რა დაუმარცხებიათ, შეცრუდა.

დედოფალი.

ვაი ვაგლახის ფეხს-ფეხ-უფეხს, ლაერტი! შენი და დაიღუპა!

ლაერტი.

როგორ? დაიღუპა!

დედოფალი.

დაიღუპა — დაიხრჩო.

ლაერტი.

ცაო მართალო!

დედოფალი.

იქ, სადაც ლვას ტირიფი და დახრილი ზედ მდინარეზედ, ოფელია გვირგვინებს სწნავდა და იმ-

ღერდა. ქალმა მოინდომა გაეფინა ტირიფიზე გვირ-გვინები — ტოტი მოსწყდა, და, საწყალი, წყალში ჩავარდა, და წყალშიც, არა გრძნობდა რა შიშსა და სიკუდილისა, იმღეროდა, და გურგუნგებს სწავლობდა, მანამ ტანისამოსი არ დაუსველდა და საზარლად არ დასძირა...

ლაერტი.

და დაიხრჩო?

დედოფალი.

დაიხრჩო, დაიხრჩო!

ლაერტი.

ოჰ, საწყალო და ოფელიავ! არა, ცრემლი — მე-შინის, რათა ცრემლით არ გავაფუჭო ეგ ზიარობა ადვილად ჩვენს გულში მოხსენებაზე... არა! ცრემლი იქალთაგან გადმომცვივდა — უნდა დავიწყნარო ცრემლი..

(მიდის.)

კლავდიო.

გავყვეთ, გერტრუდა! რის ვაივაგლახით დავამშვიდე ბოროტობა, ვშიშობ მრისხანება ხელ-ახლა განუდვილოს მას — გავყვეთ.

---

## მოქმედება 5.

### გამოცხადება 1.

(სასაფლაო. გამოდიან ორნი მესაფლავენი ნიჩბებით. ერთი მათგანი თხრის საფლავს.)

პირველი მესაფლავე.

განა ქალსა მას დამარხვენ, როგორათაც რიგიან

კაცსა, რომელს თვისის ნებით გამოგზავნიდა იმ სოფელსა?

მეორე მესაფლავე.

დასაკრძალველია — მოთხარე ჩქარა საფლავი; მსა-ჯულთ კრებამ განსაჯეს რო ის უნდა დაიმარხოს, როგორც რიგია.

პირველი.

როგორ უნდა მოხდეს ეგ, თუ ისაც იმან დაღუპა სხეული თვისი კეთილნებობით.

მეორე.

გამოჩნდა, რომ უნებურად.

პირველი.

მაინც უნდა გამოჩნდეს უნებურად. აჰა რაშია მიზეზობა: თუ მე დავღუპავ ჩემს სხეულს — დიახ — საქმეა, საქმეცა შეიცავს — საკუთარად საქმესა, შემდგომ აწარმოებს საქმესა და აღსრულებასა საქმისასა. აჰა! როგორც გინდა ისი დაიხრჩო კეთილნებობით.

მეორე.

გამიგონე, ამხანაგო,

პირველი.

მოიცადე! — აჰა მდინარე — დიახ; აქ კაცია-დიახ: თუ კაცი მივიდა მდინარეშიც და დაიხრჩო — გინდა იდავოს მას, გინდ არ იდავოს — ისი მივიდა — ხედავ? კაცი, ეს არა ქალი. თუ რო მისულ იყო ქალი, მაშინ გამოვიდოდა, რომ ქალი იგი დაიხრჩო, და გამოდის, რომ ისი არ არის ბრალეული თვის სი-კვდილში, ვინც თავი არ გადასდვა სასიკვდილოდ. ჰა?

მეორე.

სჯულით კი?

პირველი.

სჯულით? ჰო — დიაღ, გვრეულა სწორეთ — მეც სჯულზედ არ ვამბობ.

მეორე.

არა, ეგრე არ არის. ის იყო კეთილშობილი, ამიტომ იმარხება კეთილშობილურად.

პირველი.

როგორ? ჰო, დიაღ, აბა ეგ არის სანანური, რომ ვინც ძლიერია, მისთვის დასრჩობაცა არ არის ცუდი. ამხანაგო — ბარი? ვიმუშაოთ! ეშმაკმა წაიყვანოს — არა ვინ არის ქვეყანა-ზე უფროსი წოდებით როგორათაც მებაღე, მთხრელი და მესაფლავე — უძველესის ხელოვნებისა, ადამის სამუშაოსა.

მეორე.

განაღა რაც უფროსია, ისი უკეთესია?

პირველი.

დასაკვირველია. — რა უგუნური ყოფილა!

მეორე.

მაშ უთუოთ, ვინი ჩემ-ზე უმჯობესია, ოდეს იგი უფროსია ჩემ-ზე?

პირველი.

არ მე შენ გკითხავ — მამიგე.

მეორე.

ყურს დაგიგდებთ.

პირველი.

რა უფრო მკვიდრად შენდება ქვეყანათა-ზე?

მეორე.

რა უმკვიდრესად შენდება? სახრჩობელა — სახრ-

ჩოპულია დარჩენა ხოლმე კიდევ, ოდეს გაისტუმრებენ საიქიოს უფლელითა თვისთა მცხოვრებთა.

პირველი.

მაგისთვის ღირსი იქმნებოდი თუთ შენ აგამაღლონ სახრჩობელა-ზე. ხედავ შენ, ჭკვიანო: გინდა ცუდსა ჰყოფს, მას კარგა უხდება სახრჩობელა; შენ ცუდზე კარგს ამბობ; მაშასადამე, შენ გინდა ცუდი. პასუხი მომე ამა კითხვაზე.

მეორე.

კითხვა-ზე? ესე იგი, რა უფრო უმკვიდრესად შენდება ქვეყანათა-ზე?

პირველი.

ჰო, მამიკო.

მეორე.

ბატონი ხარ — ვიცი....

პირველი.

მაშ თქვი.

მეორე.

ბატონი ხარ... მართლად, ღმერთო, არ ვიცი — მაიცა ვიფიქრო. (გამოდიან ჰამლეტი და გორაციო.)

პირველი.

უბრალოდ თავს ნუ იტეხ — ზარმაცა ვირს ჯოხით ვერ აჩქარებ. ოდესაც გკითხონ, რა უფრო მკვიდრად შენდებისო ქვეყანათა-ზე, მიუგე: კუბო-თქო, ამიტომ, რომ მას აღუშენებენ კაცსა საუკუნო საცხოვრებლად. — წადი ერთი, მაიტანე ღვინო.

(ერთი მესაფლავე მიდის; მეორე დაშთება, სთხრის საფლავსა და იმღერის.)

მე [illegible] გამზრდავი,
სიბერემ [illegible] მიყურადა;
ეხლა და დავბერდი მოვუძლურდი,
არ მიძს მღერა, ვიქცნევთ ჟინდა.

ჰამლეტი.

ყურყრება ამ ბრიყვსა, რასა სჩადის? საფლავსა სთხრის და მღერის!

გორაციო.

ჩვეულებისაგან შექმნილა მაგ გულგრილ თჳსის საქმისადმი.

ჰამლეტი.

მართალია. ოდეს ხელი გართული აქვს მუშაობაში თავზე აღარ ჰფიქრობს.

მესაფლავე, იმღერის.

ბებერი დაეთრეოდა ჯოხით.
მე მას შემახვედრეს უნებლიეთ,
და მე დავშთი უძველეს სულელათ —
სიყმაწვილევ ჩემო მშვიდობით!

(ამოაგდებს თავის სარქველს.)

ჰამლეტი.

ამ თავის სარქველს ჰქონდა ენა, რომელიცა ეგრეთვე მღეროდა. როგორ გადმოაგდო ეს უკე-თურმა, თითქოს თავის სარქველი კაენისა, პირველ მკვლელისა! იქნება კიდეც ეს თავის სარქველი, რომელსაცა ესრეთ ადვილად გადისვრიან ეხლა — შეადგენდა თავსა დიდის პოლიტიკოსისასა, ანუ კაცისასა, რომელიცა ჰფიქრობდა განგებო მოე[illegible] სოფელი — მართალი არ არის?

გორაციო.

შეიძლება, პრინცო.

ჰამლეტი.

ანუ კარისკაცისასა, რომელმაცა ესრეთ საუჭარ-ლად, ესრეთ მარდათ იცოდა თქმა: «გაღდეგრძე-ლოსთ, მოწყალენო კელმწიფენო, ხომ მშვიდობით ბრძანდებით, მოწყალენო კელმწიფენო.» — იქმნება, ეს იყო გამოჩინებული მენატრონე, მოყვარული ცხე-ნებისა, და ყოვლისავე სხვისა — შეიძლება?

გორაციო.

დიაღ, პრინცო.

ჰამლეტი.

დიაღ, რასაკვირველია, დიაღ, და — აჰა ეხლა, და-ჭლიაა ჭიყელის მატლისა, ეს დიდი თავი, უყბილო, გატეხილი სულელ მესაფლავის ბარით! ჩინებული ცვლილებაა, ღირსი მისი რათა ვიფიქროთ მაზე! ნუ თუ ეს თავის სარქველნი აღარაფრისათჳს აღარ ვარგანან, თუ არ სათამაშოდ? ამისაგან სტკება ჩემი თავის-სარქველი!

მესაფლავე, მღერის.

ედაგვებიან კაცნი საფლავს —
იცოცხლე, იცოცხლე, მაინც უნდა
დავიხოცნეთ თანასწორად ყველა.

(ამოაგდებს თავის სარქველსა.)

ჰამლეტი.

კიდევ თავის-სარქველი! მითამ რათ არ უნდა იყოს ეს თავის-სარქველი სჯულის მცოდნისა. სად არიან მისნი სჯულნი, საქმის გამონაწერები,

გამოძიებანი, საქმენი და ცრუდავანი? როგორ ითმენს ეხლა წყენასა ბარისაგან ამ მედგარისა და ბრიყვისა? რატო არ მისცემს ამაზე საჩივარსა? ჰა, ჰა, ჰა! იქმნება ეს იყო დახელოვნებული მცოდნე, როგორ შაეძინა დიდი მამულები, როგორ შაედგინა ბარათები, შეუყვანა მფლობელობაში, უზრუნველყო ბინობა, და დასასრული ყოველთა მის მტვრიან ქაღალდებთა არის ისი, რომ თავის-სარქველი მისი სავსე-ა მტვერითა, და ბარათებმა მისმა შეიყვანეს ისი მფლობელობაში მიწისა, არა გრძელისა ოთ-თაბახ ეტრატზე, რომელზედაცა ისი სწერდა ბარათებსა, და ყოველთა მისს სამფლობელოთაგან მას არღა აძლევენ თითქმის საფლავსაცა, რომელსა ისი ვერღა დაუტევებს თვისსა მემკვიდრესა!... ვაჲ!

გორაციო.

საყოველთაო ხვედრია.

ჰამლეტი.

ეტრატი კეთდება ხომ ცხვრის ტყავისაგან?

გორაციო.

დიაღ, აგრეთვე ხბოს ტყავისაგან.

ჰამლეტი.

ხბო და ცხვარი ის არის, ვინცა ენდობა მათ ტყავ-ზე ნაწერილის სიმტკიცესა! მე მინდა დავე-ლაპაკო ამ მესაფლავესა. — ე, რეტიანო! ვისი-ა ეგ საფლავი.

მესაფლავე.

ჩემი. (იმღერის.)

იცოცხლე, იცოცხლე, მაინც უნდა
დავიხოცნეთ თანასწორად ყველა.

ჰამლეტა.

რასაკვირველია, შენია, ამიტომ რომ შენ სთხრი. ის მითხარ, ვინ იქმნება მაგაში.

მესაფლავე.

თქვენ არა, უფალო, ამას თქვენვე ხედავთ, ამიტომ რომ თქვენ საფლავში არა ხართ. და არცა მე, თუმცა ვარ საფლავში.

ჰამლეტი.

ნუ სთხრი, მეგობარო, სისრულეს საფლავითგან.

მესაფლავე.

მე კი არა ვსთხრი, ვფლავ სისრულესა.

ჰამლეტი.

მითხარ, რომელ კაცისათჳს არის ეგ საფლავი!

მესაფლავე.

კაცისათჳს არ არის უფალო.

ჰამლეტი.

მაშ დედაკაცისათჳს არის?

მესაფლავე.

არცა დედაკაცისათჳს არის.

ჰამლეტი

მაშ ვის დასაფლავებენ მანდ?

მესაფლავე.

მას, ვინც იყო დედაკაცი, და ეხლა არცა ის არის, არცა ეს არი,.

ჰამლეტი, გორაციოს.

ხედავ, როგორი მარჯვეა! ამ კაცთან ადვილად ვერ აღმოსთხრი ჰაზრს;. მართლად, გორაციო, სოფელი დაჭკვიანდა, ასე, რომ ეხლა გლეხი შეად-

გება აზნაურის ფერზე და არა ჰფიქრობს მოსთხოვოს ბოდიში! — (მესაფლავეს.) დიდი ხანია, რაცა ხარ მესაფლავედ?

მესაფლავე.

იმ ჟამიდგან, ოდესაც განსვენებულმა ჩვენმა კოროლმა დაამარცხა ფორტინბრასი.

ჰამლეტი.

დიდი ხანია რაც ეს იყო?

მესაფლავე.

ვითომც თქვენ არ იცით? სულელმაც კი გეტყვის თქვენ, რომ იმ წელს დაიბადა პრინცი ჰამლეტი, აი, ეხლა რომ გასულელდა და გაგზავნეს ანგლიაში.

ჰამლეტი.

რისთვისღა გაგზავნეს ის ინგლიაში?

მესაფლავე.

რასა-თვის? მისთვის რომ, ის არის სულელი, და იქ დაჭკვიანდება, და თუ არ დაჭკვიანდა, დიდი არაფერია.

ჰამლეტი.

რატომ?

მესაფლავე.

ამიტომ, რომ ამდენ სულელებში ერთით მეტი იყოს, ანუ ნაკლები, სულერთი-ა.

ჰამლეტი.

როგორ მოხდა, რომ ის გასულელდა?

მესაფლავე.

მალიან საკვირველად, ამბობენ.

ჰამლეტი.

მალიან საკვირველად?

მესაფლავე.

დიაღ, საკჳრველად. დაუკარგავს ისი, რაცა არა ჰქონია.

ჰამლეტი.

რა-ზე შეშლილა.

მესაფლავე.

უთუოთ დედამიწა-ზე, რომელზედაცა ბედის გან-ჩინებით მე უნდა ვთხარო საფლავები, და ის იყოს სულელი.

ჰამლეტი.

რავდენს ხანს დალპება კაცი საფლავში?

მესაფლავე.

თუ რო მცირედ მაინც არ დალპა ცოცხალი, გასძლებს რვას, ანუ ცხრა წელს. დაბაღი, სწორედ, გასწევს ცხრა წელს.

ჰამლეტი.

დაბაღი სხვაზე მეტად რათა სძლებს?

მესაფლავე.

იმიტომ, რომ ტყავი მისი სიცოცხლეშივე კეთდე-ბა და არა-და ეშინის წყლისა; წყალი მეტად აფუჭე-ბს ამ სულელ მკჳდრებსა. აჰა თავის-სარქველი, რომელიცა ოცი წელიწადი იწვა მიწაში.

ჰამლეტი.

ვისი უნდა იყოს ეგ?

მესაფლავე.

ერთის ცელქისა. აბა, შეიტყეო, ვისი უნდა იყოს?

ჰამლეტი.

მართლა, არ ვიცი.

მესაფლავე.

ეშმაკმა წაიყვანოს უკეთური! იმან ერთჯერ შემომასხა ღვინო. ეს თავის-სარქველი იორიკისა არის, რომელიცა იყო კოროლის მასხარა.

ჰამლეტი.

ეს? (გამოართმევს თავის-სარქველს.)

მესაფლავე.

დიაღ:

ჰამლეტი.

ახ! საწყალი იორიკი! — მე ვიცნობდი მას, გორაციო: ის იყო მხიარული და გონიერი. რამდენჯერ უტარებივარ მე იმას მკლავით, ეხლა კი რა საძაგელი სანახავია! აქ იყო ტუჩები, რომელნიცა მკოცნიდნენ მე. სად არის შენი ხუმრობა, შენი სიტყვის სიმახვილე, შენი სიმღერები, ყოველივე, რაცკი ძალიან აცინებდა სხვათა? ნუ თუ არაფერა დაგრჩა რა, რათა გაიხარხარო შენს თავზე. რა სულელურად იჭმუჭნები პირისახეს? რაო, ხომ არ გინდა წახვიდე აქო რომელსამე შვენიერი ქალი? გააცინო ისი? გამიგონე გორაციო. —

გორაციო.

რა გნებავსთ, პრინცო?

ჰამლეტი.

ნუ თუ ალექსანდრე მაკედონელის თავიცა ეგრეთივე არის ეხლა?

გორაციო.

დიახ, პრინცო.

ჰამლეტი.

და ეგრეთივე საფლავის სუნი აქვს? ფუჰ!

(გადააგდებს თავის სარქველს.)

ჰორაციო.

ეგრეთვე პრინცო.

ჰამლეტი.

ხედავ, ჰორაციო, სადამდის ვიმცრობით ჩვენ! და რატომ პატიოსანი მტვერი ალექსანდრე მაკედონელისა არ უნდა იყოს წაცხებული რომელიმე ქოსზე?

ჰორაციო.

ეგ, მგონია, დაუჯერებელია.

ჰამლეტი.

რა არის აქ დაუჯერებელი? რატომ არ უნდა განვსაჯოთ ესე: ალექსანდრე მოკვდა, დაიმარხა, მტვრად გარდიქცა, მტვერი მიწაა, მიწა თიხაა — თიხა იხმარება კედლების წასაცხებად.

დიდმშვენიერი კეისარი დღეს არს მტვერი, ხრწნილება,
და კედლების დასაკერებლად ისი ნახმარებია,
ცოცხალმა თიხამ შეარყია მთელი დედა — მიწა,
ხოლო მკვდარი-და წასაცხებად ბუხრებისა შექმნა!
მაგრამ, წყნარა, წყნარა, აჰ კოროლი!

---

მოაქვთ კუბო ოფელიისა. ლაერტი, კოროლი, დედოფალი, და კოროლის კერძობა.

ჰამლეტი.

კოროლი, დედოფალი, კარი კოროლისა — ეს რას ნიშნავს? ლაერტი, და ესრეთ მწუხარე?

(კუბოს ჩასვენებენ საფლავში.)

ლაერტი.

მშვიდობა შენდა, და! იხარონ ყვავილითა და დაამშვენონ ბორცვი შენის საფლავისა!

ჰამლეტი.

როგორ? ოფელია? რა მესმის!

დედოფალი.

მშვიდობით, ოფელია! აწრე მე ვჰფიქრობდი, რომ შენ შეადგენდი ჰამლეტის ბედნიერებასა; ყვავილებს საქორწინოთ გიმზადებდი, ქალადა ამ ყვავილებს დავყენ შენს სამწუხარო კუბოზე!

ლაერტი.

წყევა, წყევა მკჳლელსა! მიწას ნუ წააყრით — მაცადეთ გავძღე ყურებით — მეც ჩემ დასთან წამაყარეთ მიწა.

ჰამლეტი, მიახლოვდება.

აქ ვინ სლუკუნებს? ვინ ჰბედავს ტირილსა?

ლაერტი, მივარდება ჰამლეტს.

წყეულ იყავ შენ, მკჳლელო!

ჰამლეტი.

წყნარა, წყნარა! ყელში რათ მიჭერ? შორს, შორს მოგიცდება ჩემთან ბრძოლა, მეგობარო!

კოროლი.

დააყენეთ ეგენი.

დედოფალი.

ჰამლეტი, შვილო ჩემო, ჰამლეტი!

ჰამლეტი.

არა! მე მაგას არ დავუთმობ მანამ ცოცხალი ვარ! განა მაგან უნდა გამაკვირვოს თჳსის მწუხა-

რებითა? — ოფელია მე მიყვარდა, როგორათაც ორმოცი ათას ძმებს არ შეძლიანთ ეყვარდესთ!

დედოფალი.

ჭკუისაგან შეიშალა!

ჰამლეტი.

რა გინდა შენ? იტირო, იბრძოლო, მოკჳდე, თან ჩაჰყვე ოფელიას საფლავში? რა საკჳრველებაა! მე მზა ვარ, ყოველივე აღვასრულო — ძმა-ზე უკეთესად მიყვარდა ოფელია... (მიდის საჩქაროდ.)

კოროლი.

გაჰყევით ჰამლეტს — ჭკუისაგან შეიშალა. ნუ სტირი, გერტრუდა! — ჩვენ კიდევ ვნახავთ ბედნიერ დღეთა... ხომ გახსოვს, ლაერტი, ჩვენი უბნობა? დროა ეხლა აღვასრულოთ ისი. (ყველანი მიდიან.)

---

## გამოცხადება 2.

(ზალა სასახლეში.)

ჰამლეტი და გორაციო.

ჰამლეტი.

დიახ, მე ისინი მოვატყუე, გორაციო, მე ავიცილე უბედურება, რომელიცა მივაქციე უკეთურებ-ზე. განგებ გიჟად ვეჩვენე, და ამიტომ ადვილი იყო მამეპარა გრამატები, წარმეკითხა, გამეკეთებინა რიოშად. ამასთან მქონდა მე ბეჭედი განსვენებულის

მამის ჩემისა; ამ ზეციერით დაგვბეჭდე — განა შეიტყ-ვე, და ყოფნა გრძნობაში?

გორაციო,

მსუჩს, ბჭრინცლო.

ჰამლეტი.

ბრძანება — დაუყოვნებლივ მოვყვები ყოველდღიურად ვი-მე! ნუ გეშინის, მეგობარნო ჩემო! სიცოცხლეს რო-მელსაც არასოდეს ქ გიდევნიტეფნისა, მე ჩავყრიდე ნაც-ვალ-გვარი დახლოდან ისინი, და წამს ვფიცავ გა-დასდევენ ანგელოზის მიწაზე. დავხსნი დაბინებთ, თუ რომელი სამშობლო ყოფნა სამეფოდ ოდის მახვილისა, ოდეს მტკიცე-ქვეყნად ბრძოლა დაიწყო მოსისხლე მდევარ-თა გვარით!

გორაციო,

ბიძა თქვენი ბოროტმოქმედია — არა ღირსი!

ჰამლეტი.

ჩემი გადაწყვეტილება — მამის ჩემის მკვლელი, სასულიერო ტახტის მპყრობელი, ეს დიდი ჩემის ღვა-ცთის მაცდუნებელი, რომელიც მზაკვრად განიზრახავდა ჩემს ღმერთსა, უნდა დაიღუპოს — ცხოვრების მიზნ-მანებს დაუსაჯო ბოროტმოქმედი — მეფეცოდებ, თუ ის დამთმენა ქვეყნის შესაწყალებელად.

გორაციო.

ჭკვიანი მსწრაფლ მიიღებს ზიზღსა.

ჰამლეტი.

შენ მოასწრობს მისი ჯერი — მისი წამი ადგომის-ტული მაგრამ გულწრფელი მე ჩემი დაუფლოს წყვდი-ადით? — მე მიყვება დაწყნარება, მე უნდა შეტყვებოდა

მისის მწუხარებისათვს — მისი ხმლები მზგავს ჩვენს ხმლებსა....

გონზაგო.

აქ მოდიან, პრინცო! დედის გულისათვს, წუნადა!

---

ასერატო, გამოდის.

ჭკვანათლებულესო პრინცო! უმდაბლესად მოგა-ლოცავ დანიაში დაბრუნებასა.

სამლეგი.

გულითად გმადლობ. — იცნობ, გონზაგოთ, ამ მუზიკანტებსა?

გონზაგო.

არა, პრინცო.

სამლეგი.

მით უმეტესად მგონია — ხორცშესხმულიად მხეცის გაცნობა. ეს მეიდეარიკა, დავესხვნ მხარულუშვლი მხედრო-ბის მირბექცებისა, რა მაგიერ თავიდამ ლაფშვრთილებ ქორწილის სუფრაზე — ამასთანავე ამ ლუთიერებში მშრავალი აქვსუს მხედრობელობაში ტალახი, რასაც ქაცნი უწოდებენ მიწაი.

ასერატო.

ჭკვანათლებულესო პრინცო! თუ გაქვსთ დრო მო-ისმინოთ, რაცა მექმნება მე პატივი მოგახსენო.

სამლეგს.

სულ უკვლის მოწადინებით, — ისმარეთ თქვენი შლამა მისთვს, რამთვსაცა მე გამოგზავნილი — და-ხურეთ თავზე.

ოსრიკე.

ყოვლად უმორჩილესად გმადლობთ — თბილა!

ჰამლეტი.

არა, ძალიან ცივა. ჩრდილოეთის ქარია.

ოსრიკე.

დიახ, პრინცო — საშინელი სიცივეა!

ჰამლეტი.

არა, ქარიშხალია ძე ცხელა — მე ეგე მგონია!

ოსრიკე.

მეტისმეტად, პრინცო — ასეთი ქარია, ისე ცხელა, რომ არ შეიძლება ითქვას! პრინცო — კოროლმა ჩამაბარა მოგახსენო თქუენ, რომ ის —

ჰამლეტი.

დაიხურეთ რაღა თქუენი შლიაპა.

ოსრიკე.

მერწმუნეთ, პრინცო, რომ მე ეგე მირჩევნია, ჩ თქუენ მეტად ცხელიდა ნებმანდეგებით. თქუენ, უთუოთ მოგეხსენებათ, რომ ლაერტი დაბრუნდა ფრანციიდამ-გან, გვიცრავს, რომ ის არის სრულებით უმანკოდ-კაცია, მქონი უპირატესობის ღირსებების, შეუ-ნიერი, მარჯვე — მართალად, მართლისმთქმელად გვეთქვა, სახეა, კომპასია ქვაბუკი, იმიტომ რომ მის ჩარის ჩემოებთ უთქველსაკი. რაც მე შეიძლება სრუ-ლებას ახალგაზრდა ყმაწვილს.

ჰამლეტი.

ლაერტი აქვაუწესა წყალგაჯ თქუენის განსაკუ-თრებით, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, არა ყოვა-რი არითმეტიკა ვერ შეიძლებს აღრიცხვას ყოველნი

მისნი ღირსებანი. პირუთნებლად გსთქვა — მხოლოდ სარკეს შეუძლიან გამოხატოს ისი მსგავსად მისა, და სხვა ყოველი გამოსთქვამს მხოლოდ მისსა აჩ-რდილსა!

ოსრიკი.

თქვენ ბრძანებთ ნამდვილს მართალს პრინცო!

ჰამლეტი.

გსთქვით, რომ ეგრეა, მაგრამ რასათვისღა გვხვე-ვთ მას ჩვენის ქებით?

ოსრიკი.

ესე იგი?

ჰორაციო.

ესე იგი, არ შეიძლება გადასთარგმნოთ რომელიმე სხვა ენაზ?

ჰამლეტი.

რაჲ განვმარტოთ, რასათვის ჩვენ გადავარჩევთ —

ოსრიკი.

ლაერტიზე?

ჰამლეტი.

დიახ. მე მაღლიან ვიცი, რომ ქისა თქვენის მეგობარმეტყველობისა უკლებლად სავსეა ოქრო-ებით, მაგრამ დახურდავეთ ეგ ოქროები წვრილ ფულზე.

ოსრიკი.

პრინცო! თქვენ, რასაკვირველია, უნდა მოგე-ხსენებოდესთ...

ჰამლეტი.

დაუცადეთ — რომ მე მომეხსენება, ანუ არ მო-

მეხსენება — რა გინდათ სთქვათ?

ოსრიკი.

თქუენ, რასაკვირველია, უნდა მოგეხსენებოდესთ, პრინცო, რომ ლაერტი აღგემატებათ....

ჰამლეტი.

მე სიდგან უნდა ვიცოდე მისი აღმატებულობა?

ოსრიკი.

მე მინდოდა მეთქო მხოლოთ, რომ ლაერტი აღემატებათ ხელოვნებით ხმალში.

ჰამლეტი.

რა გამოდის მანდედგან?

ოსრიკი.

კოროლი დანაძლია ლაერტს — სანაძლეოდ დასდვა: მისმა დიდებულობამ ექუსი წარჩინებული ცხენი, ლაერტმა ექუსი საკვირველი, ძვირფასი ხანჯალი და ექუსი ხმალი, რომ თორმეტ დაკვრიდგან ლაერტი ვერ დაკრავს თქუენ სამჯერ, ლაერტი კი იმაზე იდგა, რომ ცხრა დაკვრიდგან თქუენ დაკრავს სამჯერ. ბაასი ასე დაიწყო, რომ კოროლმა გამოგზავნა შეგვეტყო: გნებავსთ, და როდის გნებავსთ დანიშნოთ დრო გამოცდისათვის.

ჰამლეტი, დაფიქრებულად.

მე რომ თანახმა არ ვიყო?

ოსრიკი.

სანაძლეო მოსცდება.

ჰამლეტი.

რათ უნდა მოსცდეს, უთხარით კოროლსა, რომ მე თანახმა ვარ. დავეხსნე მამცენ ხმალი და მე მო-

ცხენი მოიგოთ მისის დიდებულებისათჳს ექჳსი ხმალი და ექჳსი ხანჯალი.

ოსრიკი.

მგრე მიბრძანებთ მოვახსენო?

ჰამლეტი.

დიახ, რასაკჳრველია — მხოლოდ გაამჭვირვალეთ ჭაზრი უგვარილებითა თქჳენის მჭევრ-მეტყუელებისათა.

ოსრიკი.

და თქჳენ გნებავსთ, პრინცო, დაუყოვნებლივ შეუდგეთ გარდაწყვეტილებასა?

ჰამლეტი.

თუნდ ამ წამს.

ოსრიკი.

კოროლი, დედოფალი, და კეთილშობილის კარი იქმნებიან თქჳენ მჭურეტელად.

ჰამლეტი.

დიახ მოხარული ვარ.

ოსრიკი.

მისი დიდებულობა, დედოფალი, გთხოვს თქჳენ, მორჩილად უთხრათ ლაერტს რამდენიმე მოხარეგებელი სიტყუა.

ჰამლეტი.

მაგასაც აღვასრულებ.

ოსრიკი.

წავაბარებ ჩემს თავს თქჳენს ყურადღებას.

(მიდის.)

გორაციო.

პრინცო! მე მეფიქრება — თქჳენ წააგებთ ხა-

ჰამლეტს.

ჰამლეტი.

არა — მგონია. კარგა ვჰფლობ ხმალსა. მაგრამ, გორაციო. შენ არ შეგიძლიან წარმოიდგინო... მე ასე ნაღვლიანადავარ, ასე ნაღვლიანადა ვარ.... მაგრამ დავანებოთ ეს.

გორაციო.

რათა, პრინცო?

ჰამლეტი,

ეს სისულელეა. მხოლოდ დედაკაცს შეაშინებს წინასწარი გრძნობა.

გორაციო.

თუ სული თქვენი გატყობინებს რასამე, ნუ შეურაცხ-ჰყოფთ მაგ სულის გრძნობასა. მე წავალ შევატყობინებ, რომ თქვენ ჯერ ხალისი არა გაქვსთ.

ჰამლეტი.

არა! ეგ სისულელეა. შეურაცხ-ვჰყოფთ ყოველგვარ წინასწარი გრძნობა. თუ დღეის განგებას არა ნე-ბავს, ჩიტიცა, არ წარიხდება. რაც უნდა იყოს დღეს იგი შემდეგ აღარ იქმნება. რაც უნდა იყოს შემდეგში, ისი არ იქმნება დღეს. თუ რამ ეხლა არ იქმნება, მოხდება შემდეგ. მხოლოდ ყოველთვის მზა უნდა ვიყვნეთ-ეს არის ყოველივე! თუ რო არ ვინ არ იცის იგი, რაიცა მას შეემთხვევა — დავუტევოთ ყოველივე მოხდეს ისე, როგორათაც ვის რა უწე-რია. (დაფიქრდება.)

---

კოროლი, დედოფალი, ლაერტი, ოსრიკი, კარის კაცნი, კარის ქალნი, მცველნი

(სადღესასწაულო მარში.)

კოროლი.

ჰამლეტი! მამეც ხელი — მე მაგას მიგცემ ლაერტსა. (კოროლი შეაერთებს ჰამლეტის და ლაერტის ხელთა.)

ჰამლეტი.

ლაერტი! გთხოვ მომიტევო. არა მე, უგონობა ჩემი იყო მიზეზი, რომ ჰამლეტმა აწყინა ლაერტის. სულვრთია, ვითომც უეცრად ისარით წარმოქცევა მეგობარი, ეგრეთ მე გაწყინე შენ...

ლაერტი.

კმარა ჰრინცო. დაეხსენ განსაჯონ, დაეხსენ გარდაწყვეტონ წყენა, მაგრამ მე მზა ვარ დავივიწყო წყენა. და აქ შევეერები მე თქვენს გამზადებულობასა მოსწყვიტოთ მტრობა მოკითხვით მეგობრობისა და პატივისცემისა.

ჰამლეტი.

კმარა. მოგვეცით ოთხ-კუთხიანი ხმლები — მე მზა ვარ.

ლაერტი.

მეც მზა ვარ.

ჰამლეტი.

მე თანხმა ვარ შევიქმნა შენ საფთხულად. ჩემი სიმდამბლავე, ეგრეთ ხელოვანსა, მოგცემს შეჭველს მლევას.

ლაერტი.

თქუენ დამცინით.

ჰამლეტი.

არა.

კოროლი.

მიეცით მაგათ ოთხკუთხიანი ხლმები. სანაძლეო იცი, ჰამლეტ?

ჰამლეტი.

დიახ. თქუენ წააგებთ — მე ეს ვიცი.

(ჰამლეტი და ლაერტი არჩევენ ხლმებსა.)

კოროლი.

ჰამლეტ! მე ვუბრძანე, რათა მძლევასა შენსა გაუწყებდეს ქუხილი ზარბაზნებისა, და თვითეულ გამარჯვებისათვის მე დავლევ შენს სადღეგრძელოს. თასები აქ დაანწყეთ. თვითეულ თასში მე ჩავაგდებ მარგალიტებს, უძვირფასისი რომელთა არ იპოვება ჩუენს სახელმწიფო სალაროში. — დაიწყეთ.

(თასებს დაანწყობენ სტოლზე. ერთ-ერთს თას-ში კოროლი ჩაჰყრის შხამსა.)

ჰამლეტი.

მზათ არის?

(აიღებს-ერთს ხმალს და დადგება პირ-და-პირ კოროლისა. ლაერტი გამოცვლის თვის ხმალს სხვაზე.)

კოროლი.

გულის ყურიანად თუალი ადევნეთ დაკვრასა, და მომახსენეთ დაუყოვნებლივ. იმედი გამარჯვებისა არ მოგვატყუებს.

(ჰამლეტი და ლაერტი იბრძვიან.)

ჰამლეტი, შედგება.

დაჰკარ!

ლაერტი.

არა!

ჰამლეტი.

მსაჯულნო სთქვით!

ოსრიკი, და სხუანი.

დაჰკრა, უეჭველად დაჰკრა!

ლაერტი.

დაგხსენ მერე იყოს — განვაგრძოთ!

კოროლი.

შეიცადეთ! მე ვსვამ ჰამლეტის სადღეგრძელოს!

(საყვირი და ზარბაზნების სროლა.)

აიღე, ჰამლეტი, შენი თასი! (კოროლი მიაწვდის ჰამლეტს თასსა.)

ჰამლეტი.

არა! ჯერ საქმე შევასრულოთ.

(იბრძვიან. კოროლი დასდებს თასს სტოლზე.)

ქიდევაც დაჰკარ!

ლაერტი.

მართალია.

კოროლი.

მძლევარა. ჰამლეტი.

დედოფალი.

შენი სადღეგრძელო იყოს, შვილო ჩემო?

(აიღებს თასს.)

კოროლი.

არა! ნუ სუამ, გერტრუდა!...

დედოფალი.
ჰამლეტის სადღეგრძელოს! (სვამს.)

კოროლი. (იქით)
დედოფალი დაიღუპა! თასში შხამი იყო!

დედოფალი.
ორთავემ გავიყოთ თასი, შვილო ჩემო!

ჰამლეტი.
არა! გმადლობ! ჯერ დავასრულოთ ჩხუბი.

ლაერტი
ჰამლეტი დაიჭრა?

ჰამლეტი.
არა! (ძლიერ იბრძვის.) მე ვგონებ, შენ ხუმრობ, ლაერტი — თამაშობ, ჯერ არ იბრძვი!

ლაერტი.
მე ვხუმრობ? ვნახავთ. (დასჭრის ჰამლეტსა.)

გორაციო:
ეს რა არის? ორივე დაიჭრა! (ჰამლეტი დაგდებინებს ლაერტს ხმალსა და თვითონაც გადააგდებს თვისს ხმალს. ლაერტი სიცოფეში აიტაცებს ჰამლეტის ხმალსა. ჰამლეტი აიღებს ლაერტის ხმალსა. იბრძვიან.)

კოროლი.
დაშველეთ! საყმაოდ-[illegible]!
(დედოფალი ჰკარგავს გრძნობასა.)

ოსრიკი.
რა შეემთხვა დედოფალსა?

კოროლი.
უთუოთ შაეშინდა!

ლაერტი.

ეს რა არის? მე დავიჭერ — ჰამლეტი ჩემის ხრმლით იბრძოლდა — დავიღუპე.

(აღრეულობა. ლაერტი მლიჯს იმავრეგის თავსა.)

ჰამლეტი.

დედავ! შენ შეგეშინდა ჩემის გამოისობით!

დედოფალი.

არა! შხამი, შხამი იყო თასში — შხამი-თქო საყუ-ვარელო შვილო! (კვდება.)

ჰამლეტი.

ბოროტმოქმედებაა! დაკეტეთ კარები! არა ვინ გაუშვათ აქედგან, მოძებნეთ ბოროტმოქმედი!

ლაერტი, დაცემა.

ბოროტმოქმედი წინ გიდგას, ჰამლეტო! შენ ხარ დაჭრილი სასიკვდილოდ-შხამია შენს სისხლში მე ვკვდები ღალატისთვს — ხმალი-იყო-დაშხამული-ხელით გიჭირავს — ორთავეს დამღუპავი — შენ და დედოფალი დაღუპა კოროლმა, კოროლმა...

ჰამლეტი.

შხამო! მო სამუშავოთ! (უჩგმირავს კოროლს.)

კოროლი.

მიშველეთ.

ოსრიკი და სხვანი.

ღალატია.

ჰამლეტი.

რაო — მითხარ: როგორია ჩემი თასი, მკვლელო, მომწამვლელო? შესვი ჩემი დანთქმა!

(კოროლი დაეცემა და კვდება.)

ლაერტი.

კოროლი. ღირსი იყო დანთქმისა — მან დაგვღუპა ჩვენ! მამიტევე, ჰამლეტი, სიკვდილი შენი, მამიტევე, როგორათაც მე მოგიტევებ შენ ჩემის მამისა სიკვდილი! (კვდება.)

ჰამლეტი.

დაიძინე მშვიდობიანად! — სიკვდილო! — აჰა იგი, გორაციო!... ჰე თქვენ, მოწამენო ბოროტმოქმედებისა, თქვენ გაუვითლებულნო, მთრთოლარენო კაცნო! თუ რო სიკვდილს არ მოეტაცა ენა ჩემი, მე გეტყოდიმცა თქვენ... სიკვდილი შეუბრალებელი-ა! გორაციო! შენ განმამართლებ მე წინაშე კაცთა...

გორაციო.

არა! თასში კიდევ დაშთა შხამი — ის ჩემია.

ჰამლეტი.

არა, არა, გორაციო, შენ უნდა იცოცხლო, შენ უნდა გაამართლო სახელი ჰამლეტისა! შენ უამბობ კაცთა საშინელთა საქმეთა, შენ დაიცავ ჰამლეტის სახელსა დანძლვისაგან... (ისმის მარში.) აჰა! ფორტინბრასი დაბრუნებულა-სხვა აძლევს მას ჩემს გვირგვინსა — გორაციო! შენ ყოველსავე უამბობ მას-

(კვდება.)

გორაციო.

უკანასკნელ გაირღვა დიდშვენიერი გული! ანგელოზნო, მიიღეთ თქვენ ნეტარებაში ჰამლეტი, რომელიცა ღირსია ნეტარის ცხოვრებისა!

## ფისკარი.

ფორტინბრასი, გამოდის.

რა სანახაობაა! რაოგვარი სისხლიანი მკვლელობაა! სიკუდილი დღესასწაულობს საშინელს მდევნასა!...

გორაციო.

პატივისცემას განვაცხადებ, პრინცო, მე გიამბობ შენ საქმეთა გაუგონართა, სისხლიერთა, საშინელთა დანთქმასა ზრახულელთა და უზრახელთა, განგების განჩინებათა, ჩუენთჳს მიუწდომელთა, და ხმას გარდმოვცემ ჰამლეტისასა, რომელითაცა იგი გამლევს თჳსსა გჳრგჳნსა.

ფორტინბრასი.

სამწუხარო საჩუქარს განსვენებულისას მივიღებ. ცრემლით პატივვცეთ ჰამლეტის სახსენებელსა, და პატივი ვცეთ მკუდართა დამარხვით.

(ისმის დასაფლავებელი მუზიკა.)

დასასრული.

ლავრენტი არდაზიანი.

# სარჩევი მეორეს ტომისა.

ლექსები: გვერდი.


| | | |
|---|---|---|
| გაზაფხული. | ივ. კერესელიძისა. | 1. |
| კ. გრიგოლ ორბელიანს. | N. — | 3. |
| პუშკინთა. | ივ. კერესელიძისა. | 5. |
| მეფის ირაკლის ეპიტაფია. | თ. ალ. ორბელიანისა. | 9. |
| სოფელი. | კოლხიდელისა. | 58. |
| საღამო ქარალეთის გორი-დგან. | თ. რ. შ. ე. | 59 |
| მთოვარეს. | მისივე, | 60 |
| ია. | მისივე. | 99. |
| შავთვალებს. | მისივე. | 91 |
| ყაზიბეგის მთა. | მისივე. | 91. |
| ივანე კერესელიძე ეიხელ. ცრემლი ალაზნისა. | დ. ბ. | |

პროზა:

| | | |
|---|---|---|
| ჰამლეტი. | ლ. არდაზიანისა. | 15. |

ჰსწავლა და კელოვნება:

| | | |
|---|---|---|
| ზადაჩა. | მ. ალ. | 53 |
| ორნი ისტორიულნი გაწთვ-ხებულნი ხასიათნი ლანგ-თემურისა | თ. რ. შ. ერისთავისა. | 53. |

მე და ის. თ. ლ. ა ორბელიანისა. 124

სხუა და სხუა ამბავი:

ტფილისის უწყება. 55
რედაქციისაგან. 06
თ. ალ. ჩიქოვანის გარ-
დაცვალებაზე 84
მაზედვე, 134

---